განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შეფასების თარიღ(ებ)ი

22 ნოემბერი 2017

დასკვნის წარდგენის თარიღი

23 იანვარი 2018

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)<br><br>არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204429341 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საერთაშორისო ურთიერთობები |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი გვალია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლაშა ბაჟუნაიშვილი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ოდოშაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლისა და პოლიტიკის სკოლის მიერ.

პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტებს ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების როგორც თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების, ასევე პრაქტიკული ასპექტების შესახებ. ასევე, გარდა დარგობრივი ცოდნით აღჭურვისა, პროგრამა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებას და განვითარებას.

ამავდროულად, პროგრამის მიზანია განუვითაროს სტუდენტებს ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი; გააცნოს კვლევის თანამედროვე სტანდარტები და გამოუმუშავოს პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის და ცოდნის ეფექტურად გამოყენების უნარი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტმა წინასწარ შეთანხმებული გეგმის შესაბამისად, მშვიდ და კოლეგიალურ სამუშაო გარემოში ჩაიარა. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები დაწესებულების ცენტრალურ ადმინისტრაციასთან, სამართლის და პოლიტიკის სკოლის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლეში განხორციელდა დაწესებულების ინფრასტრუქტურის (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი) დათვალიერება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით წარმოდგენილი პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი უზუსტობები აჩენს კითხვებს, თუმცა ისინი საფრთხეს, არ უქმნის პროგრამის განხორციელებას და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე გასვლას.

- **რეკომენდაციები**

- აუცილებელია სასწავლო კურსში მკაფიოდ, დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, მიეთითოს შემდეგ კომპონენტზე დაშვების წინაპირობა ან მისი არარსებობა. წინაპირობის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია მიეთითოს მხოლოდ ის საგანი, რომელიც გათვალისწინებული არის სასწავლო პროგრამით და იძებნება სასწავლო გეგმაში. ასევე, მნიშვნელოვანია საგნების წინაპირობები აისახოს სასწავლო გეგმაშიც.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველი იქნება ინგლისური ენის სასწავლო კურსებში გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა. ინგლისური ენის ინტენსიური სწავლება სტუდენტს ენის კომპეტენციის გაუმჯობესების და იმავდროულად სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ინგლისურენოვანი ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის დამუშავების საშუალება მისცემს. ექსპერტების მოსაზრებას ითვალისწინებს პროგრამის აკადემიური პერსონალი.

- სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი პროცესის მეტი გამჭვირვალობისა და სიცხადისთვის სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსში დაკონკრეტდეს შუალედური და დასკვნითი გამოცდების ფორმა (ზეპირი, წერითი, კომბინირებული და ა.შ.);
- მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იქნება მისი მეტად ინტერნაციონალიზაცია, მათ შორის: სტუდენტთა და აკადემიური, თუ ადმინისტრაციული პერსონალის ურთიერთგაცვლის მიმართულებით;
- პროგრამის განხორციელებისათვის პერსპექტივაში სასურველი იქნება ინსტიტუტის და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ადმინისტრაციამ ციფრული ბიბლიოთეკის პარალელურად, შექმნას საუნივერსიტეტო ან საგანმანათლებლო ერთეულის (სკოლა/ფაკულტეტი) ბიბლიოთეკა, წიგნადი ფონდით და საბიბლიოთეკო რესურსების მართვის მენეჯმენტით, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების საჭირო სამეცნიერო ლიტერატურით უზრუნველყოფას;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის არის შრომითი ბაზრის კვლევა და დასაქმების მაჩვენებელზე თვალის დევნება, რასაც უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს.
- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის არის პრაქტიკოსი მასწავლებლების სიმრავლე კონკრეტულ პროგრამაზე;
- სასწავლო კურსებში ე.წ. სტუმრის სტატუსით საკითხთან დაკავშირებით პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის მოწვევა;
- ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის არის ფაქტი იმის შესახებ, რომ სტუდენტებს აქვთ პირდაპირი, თუნდაც სატელეფონო კონტაქტი ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაციულ მხარესთან, რაც ხელს უწყობს მათ მაქსიმალურ ჩართულობას,როგორც პროგრამის განვითარების,ასევე ზოგადად საუნივერსიტეტო საქმიანობის პროცესში,რაც ნამდვილად მისასალმებელ პრაქტიკას წარმოადგენს;
- აკადემიურად წარმატებული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში სემესტრულად ნაწილობრივ ან სრულად სწავლის საფასურის გადახდას;
- დაწესებულების მიერ სტუდენტების ექსტრაკურიკულარული აქტივობების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა. კერძოდ, ყოველწლიურად სკოლის ბიუჯეტში განისაზღვრება თანხები სტუდენტური პროექტების მხარდასაჭერად, მათ შორის სამეცნიერო პროექტების. (კონფერენციები და კვლევები);

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

| |
|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მიზნები სრულიად შეესაბამება დაწესებულების მისიას. ვინაიდან, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ერთ-ერთი უმთავრესი მისია სოციალური მეცნიერებების განვითარების ხელშეწყობა, ასევე მათი ახალგაზრდებში პოპულარიზაცია და სწავლებაა, წარმოდგენილ პროგრამას პირდაპირი ბმა აქვს ზოგადსაუნივერსიტეტო მისიასთან.<br><br>○ ასევე, ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებით, არსებული დოკუმენტაციით და დაწესებულების მიერ განხორციელებული დასაქმების კვლევით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი/შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეული რეგულარულ რეჟიმში აკვირდება შრომის ბაზრის ტენდენციებს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო დასაქმების ბაზრის მოთხოვნები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ყველაზე მკაფიო მტკიცებულება, იმის რომ უნივერსიტეტი ორიენტირებულია დასაქმების ბაზრების მოთხოვნების შესწავლაზე, არის მათ მიერ ჩატარებული კვლევა ბაზრის მოთხოვნების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს წარმოუდგინეს ექსპერტთა ჯგუფს. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ მოცემულ კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ გააჩნია |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |

- მოცემულ კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ გააჩნია

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის არის შრომითი ბაზრის კვლევა და დასაქმების მაჩვენებელზე თვალის დევნება, რასაც უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის კომპონენტის შინაარსი უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში წარმოდგენილი კურსები ძირეულად ასახავს საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების მეთოდიკას და მნიშვნელოვანწილად გამოკვეთავს იმ დადებით ტენდენციებს, რაც პროგრამას შინაარსობრივად გააჩნია. გარდა ამისა, ცალსახად დადებითი ტენდენციაა სწავლების მეთოდიკაში პრაქტიკოსი პედაგოგების მოწვევა, რაც უფრო მეტად ზრდის ალბათობას იმისას, რომ სტუდენტები უფრო მეტად მიიღებენ პრაქტიკულ ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით. (პრაქტიკოს ლექტორებში მოიაზრებიან მოწვეული სპეციალისტები საგარეო საქმეთა სამინისტროდან, სხვადასხვა ინსტიტუციებიდან ა.შ). ასევე, ცალსახად დადებით ფაქტორად მიგვაჩნია, რომ

| |
|---|
| დაწესებულება ხაზგასმით აღნიშნავს პლაგიატის წინააღმდეგ ზომების გატარების აუცილეობლობას (ეს ინფორმაცია მითითებულია სილაბუსებში). თუმცა, ამავე დროს, დაწესებულებას არ გააჩნია ინსტრუმენტი (რომელიმე სოფთვეარის სახით), რაც უზრუნველყოფს პლაგიატის შემთხვევების ეფექტურად იდენტიფიცირებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების დოკუმენტი<br>○ სილაბუსები<br>○ ინტერვიუები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ აუცილებელია სილაბუსებში გასწორდეს გრამატიკული, ტექნიკური ხასიათის შეცდომები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ ვფიქრობთ, კარგი იქნება სილაბუსებში ლექტორის სახელისა და გვარის გასწვრივ, თუ მათი რეგალია ან აკადემიური სტატუსიც დაიწერება. მაგ: ასოცირებული პროფესორი, მოწვეული სპეციალისტი, რომელიმე უწყების თანამშრომელი, მაგისტრი, დოქტორი, დოქტორანტი და სხვა).<br>○ პროგრამის სამომავლოდ განვითარებისთვის კარგი იქმება, თუ უნივერსიტეტში დაინერგება სისტემა (software), რომელიც პლაგიატს შეამოწმებს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის არის პრაქტიკოსი მასწავლებლების სიმრავლე კონკრეტულ პროგრამაზე. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| 1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა |

| |
|---|
| ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების დოკუმენტი<br>○ სილაბუსები<br>○ კურიკულუმი |
| **რეკომენდაციები:**<br><br>ექსპერტთა ჯგუფს მოცემულ კომპონენტში რეკომენდაციები არ აქვს. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>ექსპერტთა ჯგუფს მოცემულ კომპონენტში რჩევები არ აქვს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>**ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა**<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** |

| |
|---|
| 1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები სრულად უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზარზე, რაც დასტურდება, როგორც დამსაქმებელთა ინტერვიუებიდან, ასევე საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი დონით. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნით ეს უკანასკნელიც დადასტურდა შესაბამისი დოკუმენტით, რომელიც აღწერს,,ჯიპა''-ს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დამსაქმებლებთან ჩატარებული საკოორდინაციო შეხვედრები იმის შესახებ, თუ რა უნარების დასაქმებული სჭირდებათ
- ექსპერტთა ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებაში ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ გააჩნია

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებაში ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ გააჩნია

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერსებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა რომ დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები სრულიად იყვნენ ჩართულნი პროგრამის შემუშავების ყველა ეტაპზე. მათი ჩართვის მექანიზმები გამოიხატებოდა საკოორდინაციო შეხვედრებით, ფოკუს-ჯგუფებით, გამოკითხვებით ა.შ რისი დასტურიც უნივერსიტეტს დოკუმენტაციის სახით მოეპოვება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ოქმები
- ინტერვიუ დამსაქმებელთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან

**რეკომენდაციები:**

აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებაში ექსპერტთა ჯგუფს კომენტარები და რეკომენდაციები არ აქვს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებაში ექსპერტთა ჯგუფს რჩევები და კომენტარები არ აქვს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

| |
|---|
| ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

| 2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შესაბამისობაში არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესთან. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეს სტუდენტის სტატუსის მოპოვება შეუძლია ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ.<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა იძლევა საშუალებას პირს მისცეს საშუალება საერთაშორისო ურთიერთობებში დააგროვოს საფუძვლიანი ცოდნა და დამოუკიდებლად გამოიყენოს იგი შემდგომი საჭიროებისათვის. ამისათვის მნიშვნელოვანია გამოცდილი და კვალიფიცირებული აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების არსებობა. ამ კუთხით საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს იმ აკადემიური პირების და მოწვეული სპეციალისტების ჩართულობა, რომლებიც სამეცნიერო და აკადემიურ საქმიანობასთან ერთად დასაქმებული არიან სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, გააჩნიათ შესაძლებლობა სტუდენტს თეორიულთან ერთად პრაქტიკული გამოცდილებაც გაუზიარონ.<br>○ პროგრამის ათვისების საკითხში ყურადღებას იპყრობს სასწავლო კომპონენტებში სასწავლო მასალების, სავალდებულო და დამატებით ლიტერატურის მხოლოდ ინგლისურ ენაზე არსებობა. საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო |

პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სააკრედიტაციო მასალების შესწავლამ შემდეგი გარემოება წარმოაჩინა:

- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა უნივერსიტეტს ერთიანი ეროვნული გამოცდებში არ აქვს დაწესებულ ინგლისური ენის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით (ბოლო 3 წლის მონაცემების მიხედვით) სპეციალობაზე ჩარიცხულ სტუდენტთა საშუალო სკალირებული 130-135 ქულას შეადგენს, რაც არც თუ ისე მაღალი მაჩვენებელი არის ენის კომპეტენციის დასადასტურებლად.
- საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისური ენის სწავლების კომპონენტში ითვალისწინებს მხოლოდ 15 კრედიტს (თითოეული დონე მხოლოდ 5 კრედიტს რაც კვირაში 3 საკონტაქტო საათის ტოლია).

  აღნიშნული გარემოებების ფონზე სტუდენტს II, III და IV სემესტრების საგნებში (მაგალითად, მსოფლიოს ისტორია. უძველესი ხანა ძვ. წ. 3000-15000, კომუ-ნიკაციის ფსიქოლოგია 1 და 2; ასათვისებელი სასწავლო მასალა და ლიტერატურა მხოლოდ ინგლისურ ენაზე არის წარმოდგენილი. არსებობს საფუძვლიანი რისკი, რომ სტუდენტმა, განსაკუთრებით II-IV სემესტრებში (მითუმეტეს, რომ სწავლების ამ პერიოდში სტუდენტს ჯერ კიდევ სრულად არ აქვს ათვისებული პროგრამით გათვალისწინებული ინგლისური ენის სასწავლო კომპონენტი), ვერ შეძლოს მხოლოდ უცხო ენაზე მიწოდებული ძირითადი ლიტერატურის სრულყოფილად დამუშავება და ცოდნის დაგროვება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების პირადი საქმეები (CV/რეზიუმე);
- უნივერსიტეტის, სკოლის, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს მასალები;
- ინტერვიუს დროს აკრედიტაციის მაძიებელი სუბიექტის მიერ დამატებით წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია;

**რეკომენდაციები:**

- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია,II-IV სემესტრის სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო მასალა ქართულ ენაზე იქნას წარმოდგენილი ინგლისურენოვანი ლიტერატურის პარალელურად.
- სასურველი იქნება ინგლისური ენის სასწავლო კურსებში გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა. ინგლისური ენის ინტენსიური სწავლება სტუდენტს ენის კომპეტენციის გაუმჯობესების და იმავდროულად სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ინგლისურენოვანი ძირითადი და დამატებითი ლიტე-რატურის დამუშავების საშუალება მისცემს. ექსპერტების მოსაზრებას

ითვალისწინებს პროგრამის განმახორციელებლის სფეროში ჩართული აკადემიური პერსონალი.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების საგან-მანათლებლო პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს სფეროში მოღვაწე აკადემიური პირების პროგრამის შემუშავებაში ჩართულობას , რომლებიც იმავდროულად სხვადასხვ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებს წარმოადგენენ და გააჩნიათ შესაძლებლობა უნივერსიტეტსა და პროგრამას გაუზირონ საკუთარი ხედვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის ცოდნის მიღება სჭირდებათ სტუდენტებს და როგორ შეიძლება პროგრამის ფორმირება ისე, რომ მიღებული ცოდნა სტუდენტებს სამომავლოდ პროფესიულ საქმიანობაში გამოადგეთ

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ თეორიული და პრაქტიკული მიმართულებით ცოდნის დაგროვების, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარების, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის უნარის ჩამოყალიბების მიზნით გამოიყენება სწავლის მეთოდები, რომელიც მოიცავს ლექციებს, სემინარებს, პრეზენტაციებს და შემთხვევის ანალიზს. ასევე ჯგუფში მუშაობისა და ინდივიდუალური ნაშრომების წარდგენას. საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტების დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა სილაბუსში სწავლების მეთოდები სტანდარტული ან/და იდენტურია. თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკა კი შესაძლოა დიფერენცირებულ მიდგომას და განსხვავებული მეთოდების გამოყენებას მოითხოვდეს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების დოკუმენტი
- სასწავლო პროგრამა/კურიკულუმი
- საგანმანათლებო პროგრამის კომპონენტები (სილაბუსები)
- ინტერვიუს მასალები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- სასწავლო კურსებში ე.წ. სტუმრის სტატუსით (Guest Speaker) პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის მოწვევის პრაქტიკა.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არა რის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე

| |
|---|
| დაშვების წინაპირობები ლოგიკურია |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>• საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი კომპონენტები შემდეგი თანმიმდევრობით არის დალაგებული: 1 - ზოგადი განათლების კურსები და მაპროფილებელი სასწავლო კურსები (ძირითადი და არჩევითი კურსები). პროგრამა არ ითვალისწინებს საბაკალავრო სადიპლომო ნაშრომის შესრულებას. პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფცია ზოგადიდან კონკრეტულისაკენ არის მიმართული და მასში მეტ-ნაკლები პროპორციით არის წარმოდგენილი ზოგადი განათლების, საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის მეცნიერების და მასთან მომიჯნავე დისციპლინების სასწავლო კურსები. ზემოთ აღნიშნული პრინციპის საპირისპიროდ სასწავლო გეგმაში სხვა სურათია. ისეთი ზოგად მაპროფილებელი საგნები როგორიც არის ***შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში*** *(VI სემ.),* ***შესავალი შედარებით პოლიტიკაში*** *(V სემ.),* ***პოლიტიკური იდეოლოგიები*** *(VII სემ.)* ***და საერთაშორისო ორგანიზაციები*** *(VII სემ.)* ისწავლება დასკვნით სემესტრებში. პრობლემის ფონზე განსაკურებით თვალშისაცემი არის VII, ბოლო სემესტრში სასწავლო კურსის საერთაშორისო ორგანიზაციების სწავლება. მაშინ როცა აღნიშნული სასწავლო კურსის შესწავლა წინ უნდა უსწრებდეს ისეთი საგნების შესწავლას როგორიც არის **ევროკავშირი პოლიტიკა** V სემესტრში (ვფიქრობთ, სტუდენტმა ამ საგნის შესწავლამდე მინიმუმ უნდა იცოდეს საერთაშორისო ორგანიზაციის კლასიფიკაცია, დაფუძნების პროცედურა, ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა და მისი კლასიფიკაცია და სხვ). უფრო მეტიც, სასწავლო კურსის საერთაშორისო ორგანიზაციების ადრეულ ეტაპზე შესწავლამ შესაძლოა სტუდენტს გაუადვილოს მსოფლიო პოლიტიკის, საერთაშორისო განვითარების და სხვ. სასწავლო კურსების დაძლევა.<br>• პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტების (სასწავლო კურსის სილაბუსების) დამუშავების დროს აშკარად გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობის მართებულ განსაზღვრებას. სასწავლო კურსებში - **მსოფლიო პოლიტიკა, ადამიანური რესურსები, მსოფლიოს ისტორია ძვ. წ. 3000; პოლიტიკური იდეოლოგიები, პოლიტიკური ტექნოლოგიები**, **შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებში, საერთაშორისო ბიზნესი, კინემატოგრაფიის ისტორია**, **საერთაშორისო განვითარება, სტრატეგია, შესავალი შედარებითი პოლიტიკა** წინაპირობის პრინციპი დარღვეულია ან შეცდომით არის წარმოდგენილი. მაგალითად, სასწავლო კურსის ავტორს წინაპირობაში მითითებული აქვს საგანი, რომელიც სასწავლო გეგმაში საერთოდ არ იძებნება; სხვა შემთხვევაში მითითებული არის გაურკვეველი წინაპირობა შემდეგი ფრაზით *„სალექციო კურსის გავლამდე სტუდენტისთვის სასურველია ეკონომიკის საფუძვლების და ინგლისური ენის ცოდნა“ ან/და „სტუდენტს სასურველია ჰქონდეს ზოგადი წარმოდგენა მსოფლიო ისტორიაზე; შეეძლოს სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა ინგლისურ ენაზე“* |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების დოკუმენტი<br>○ სასწავლო პროგრამა/კურიკულუმი<br>○ საგანმანათლებო პროგრამის კომპონენტები (სილაბუსები)<br>○ ინტერვიუს მასალები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ აუცილებელია სასწავლო კურსში მკაფიოდ, დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, მიეთითოს შემდეგ კომპონენტზე დაშვების წინაპირობა ან მისი არარსებობა. წინაპირობის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია მიეთითოს მხოლოდ ის საგანი, რომელიც გათვალისწინებული არის სასწავლო პროგრამით და იძებნება სასწავლო გეგმაში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში თუნდაც არჩევითი ბლოკში დამატებული იქნას საბაკალავრო სადიპლომო ნაშრომის შესრულების კომპონენტი<br><br>○ სასურველია საგნების წინაპირობა აისახოს სასწავლო გეგმაშიც.<br><br>○ სასურველია სასწავლო გეგმაში განხორციელდეს ადგილმონაცვლეობა და ზოგად მაპროფილებელი სასწავლო კურსები როგორიც არის *შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში (VI სემ.), შესავალი შედარებით პოლიტიკაში (V სემ.), პოლიტიკური იდეოლოგიები (VII სემ.) და საერთაშორისო ორგანიზაციები (VII სემ.)* გადატანილ იქნას უფრო ადრეულ სემესტრებში.<br>○ |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაში სტუდენტების ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიან სისტემით ხორციელდება, რაც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ უსდ-ში ცოდნის შეფასების ზოგადეროვნულ სტანდარტს. კურიკულუმში შემავალი ყველა სალექციო კურსი შეფასების დადგენილ სისტემას იყენებს. ასევე აღსანიშნავია, რომ როგორც პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი დეკლარირებს, სტუდენტის ცოდნა და უნარ-ჩვევები ფასდება როგორც  უშუალოდ სწავლის პროცესში (შუალედური გამოცდები, საკონტროლო წერები, პრეზენტაციები), ასევე კურსის დამთავრების შემდეგ (დასკვნითი გამოცდები). შეფასების მეთოდებია - წერითი გამოცდა, ტესტი და ქვიზი, პრეზენტაცია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების დოკუმენტი
- სასწავლო პროგრამა/კურიკულუმი
- საგანმანათლებო პროგრამის კომპონენტები (სილაბუსები)
- ინტერვიუს მასალები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება:**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო კურიკულუმში არსებული თითოეული სასწავლო კურსში ცოდნის შეფასება პირდაპირ უკავშირდება სწავლის მიზანს, მისაღწევ შედეგებს და სწავლების სტრატეგიას. უნივერსიტეტის ადმინის-ტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების კრიტერიუმების შესახებ სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებული. შეფასების სისტემის შესახებ ისინი დეტალურ ინფორმაციას იღებენ როგორც პროგრამის განმახორციელებელი პირების, პროფესორ-მასწავლებლების მხრიდან. ასევე შეფასების პროცესიც გამჭვირვალეა და ყველასთვის ხელმისაწვდომი სქემით ხორციელდება. სტუდენტს საშუალება ეძლევა უკუგების მეშვეობით მიიღოს არგუმენტირებული დასაბუთება მიღებული შეფასების შესახებ. წერითი დავალების შემთხვევაში შეფასებული ნაშრომი თავისი კომენტარებით უბრუნდება სტუდენტს, რომელიც უფლებამოსილია კითხვების ან პრეტენზიების შემთხვევაში საკონსულტაციოდ მიმართოს ლექტორს, რომელიც დამატებით აუხსნის რა შეცდომებია დაშვებული და მიუთითებს რა უნდა გამოსწორდეს გარდა ამისა, სტუდენტს შესაძლებლობა გააჩნია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით აკონტროლოს ყოველკვირეულ აქტივობაში და შუალედურ გამოცდებში მიღებული შეფასებები.
- ზოგიერთ სილაბუსში დაკონკრეტებული არ არის შუალედური და დასკვნითი გამოცდის ფორმა (მაგალითად, სასწავლო კურსში **პოლიტიკური იდეოლოგიები** არ იძებნება ჩანაწერი თუ რომელ კვირას ტარდება შუალედური გამოცდების. სწავლების მეთოდებში კი განსაზღვრულია სტუდენტის ვალდებულება შუალედურის ჩატარების შესახებ. შუალედური გამოცდა შეფასების პროცენტულ განაწილებაშიც ფიქსირდება)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების დოკუმენტი
- სასწავლო პროგრამა/კურიკულუმი
- საგანმანათლებო პროგრამის კომპონენტები (სილაბუსები)
- ინსტიტუტში მოქმედი ელექტრონული პორტალი
  ინტერვიუს მასალები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი პროცესის მეტი გამჭვირვალობისა და სიცხადისთვის სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსში დაკონკრეტდეს შუალედური და დასკვნითი გამოცდების ფორმა (ზეპირი, წერითი, კომბინირებული და ა.შ.); |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
